ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 28

6 მარტი, 2024 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

11:30 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ელენე ახვლედიანის ხევისთვის მსახიობის თამარ სხირტლაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მახათას აღმართთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის ხელოვნებათმცოდნე ნადია შალუტაშვილის და მთამსვლელის მარინე უთმელიძის სახელების მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, კონსტანტინე ანდრიაძის ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მედდების ინგა გვასალიას და რუსუდან ჩხეტიანის სახელების მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის ორი მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ცოლ-ქმრის მერი პაკელიანის და ალექსანდრე გამსახურდიას სახელების მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ორი უსახელო ჩიხისთვის და ჯავის II შესახვევის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლილი თაკვარელიას სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ფეიქართა ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის ეველინა თავაძის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სანდრო ახმეტელის თეატრთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მსახიობის, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლის თამარ წულუკიძის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მაქსიმ გორკის შესახვევისთვის და ვეძათხევის შესახვევის მონაკვეთისთვის მსახიობის დუდუხანა წეროძის სახელის მინიჭების შესახებ

9. **ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლეჩხუმის ქუჩის მონაკვეთისთვის ეროვნული მოძრაობის მონაწილის, უფლებადამცველ მარიკა ბაღდავაძის სახელის მინიჭების შესახებ**
10. **ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მარიამ ივანიშვილი-დემურიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის დრამატურგის, მწერლისა და პუბლიცისტის ნატალია აზიანის სახელის მინიჭების შესახებ.**

ნინო ვარდოსანიძის განცხადებით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ქუჩებისთვის გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ქალების მინიჭების ინიციატივას განიხილავს. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სხვადასხვა სფეროს განვითარებაში და რომელთა ღვაწლიც გარკვეულწილად მივიწყებულია ფართო საზოგადოებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილა.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი, რომელიც შეეხება ჩუღურეთის რაიონში, ელენე ახვლედიანის ხევისთვის მსახიობის თამარ სხირტლაძის ქუჩის სახელის მინიჭებას. იგი იყო თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე. თამარ სხირტლაძე უხუცეს მსახიობად ითვლებოდა ქართულ კინოსა და თეატრში. მან მოხსნა ცნობილი ქართველი მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძის რეკორდი (70 წელი გაატარა სცენაზე). თამარ სხირტლაძეს მოიხსენიებდნენ როგორც მსახიობს ასაკის გარეშე. კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაციია გაუწიეს..

მეორე საკითხი შეეხება ჩუღურეთის რაიონში, მახათას აღმართთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის ხელოვნებათმცოდნე ნადია შალუტაშვილის და მთამსვლელის მარინე უთმელიძის სახელების მინიჭებას. ნადია შალუტაშვილი იყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი. მარინე უთმელიძე იყო მთამსვლელი და გეოგრაფი, სპორტის ოსტატი, ტურიზმის წარჩინებული მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, ღირსების ორდენის კავალერი .

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს, რომელსაც კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მესამე საკითხის განხილვისას ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, კონსტანტინე ანდრიაძის ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მედდების ინგა გვასალიას და რუსუდან ჩხეტიანის სახელების მინიჭებაზე. ინგა გვასალია არის აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, საინჟინრო მესანგრეთა ასეულის მედდა. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში, რომელსაც აწარმოებდა საინჟინრო - მესანგრეთა ასეული. გმირულად დაიღუპა 1993 წლის 29 სექტემბერს. რუსუდან ჩხეტიანი არის აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი. დაიღუპა 1993 წლის 22 სექტემბერს ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფისას. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხს.

ასევე დადებითად გადაწყვიტა კომისიამ ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის ორი მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების, ცოლ-ქმრის მერი პაკელიანის და ალექსანდრე გამსახურდიას სახელების მინიჭების საკითხი. მერი პაკელიანი არის აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, მედდა, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი. იგი მუშაობდა კამანში არსებულ მოხუცებულთა და ინვალიდთა პანსიონატში მედდად. აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისათანავე მერი პაკელიანი გვერდით დაუდგა თანასოფლელებს. ასეულის მებრძოლებს ეხმარებოდა და საჭიროების შემთხვევაში პირველად სამედიცინო დახმარებას უწევდა. ასეულში სხვა თანასოფლელებთან ერთად მისი მეუღლე ალექსანდრე გამსახურდიაც იბრძოდა. კამანის ეკლესიაზე თავდასხმისას მერის უბრძანეს იქაურობას გასცლოდა და იქვე ახლოს ეკლესიისთვის შეეფარებინა თავი. სწორედ ეკლესიის ეზოში დაიჭრა მერი პაკელიანი. მან სიკვდილის წინ ხელყუმბარა გახსნა და მტრის 4 ბოევიკი შეიწირა. მისი მეუღლე ალექსანდრე გამსახურდია არის ასევე აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი. 1992 წელს ალექსანდრე თანასოფლელებთან ერთად სამშობლოს სადარაჯოზე დადგა. ირიცხებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-8 ბატალიონის მე-3 ასეულში. 1993 წლის 5 ივლისს ალექსანდრე პირველ საგუშაგოზე მორიგეობდა. მის გვერდით იყო მეუღლე მერი პაკელიანიც, რომელმაც წინა დღეებში მცირეწლოვანი შვილები იქაურობას გაარიდა და უკან დაბრუნდა, სადაც ერთ-ერთი ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპა. კომისიას მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ დედაქალაქში არსებობდეს ამ გმირების სახელობის ქუჩები.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეხუთე საკითხი, რომელიც შეეხება თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ორი უსახელო ჩიხისთვის და

ჯავის II შესახვევის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლილი თაკვარელიას სახელის მინიჭებას. იგი 1993 წლის 22 სექტემბერს, ბაბუშერას აეროპორტში, აფეთქებულ თვითმფრინავში ჩაიწვა. მუშაობდა შინაგან ჯარებში კინოლოგად. 1997 წელს, ტყვეთა გაცვლის კომისიის დახმარებით ჩამოასვენეს თბილისში. სიკვდილის შემდეგ, ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენზე წარადგინეს. დოკუმენტი დღემდე ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში ინახება. ლილი თაკვარელიას მშობლები გარდაცვლილი ჰყავს. ძმა კი, დაუზუსტებელი ინფორმაციით, რუსეთში ცხოვრობს. სამწუხაროდ, არავინ დარჩა, ვისაც ამ ჯილდოს გადასცემენ.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეექვსე საკითხი, რომელი შეეხება ნაძალადევის რაიონში, ფეიქართა ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის ეველინა თავაძის სახელის მინიჭებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეშვიდე საკითხი შეეხება გლდანის რაიონში, სანდრო ახმეტელის თეატრთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მსახიობის, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლის თამარ წულუკიძის სახელის მინიჭებას. მან დაამთავრა თბილისის ქალთა მეორე გიმნაზია. აკაკი ფაღავას თეატრალური სტუდიის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. დაქორწინდა რეჟისორ სანდრო ახმეტელზე. მათი ოჯახი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა. კომუნისტურმა რეჟიმმა სანდრო ახმეტელი ინგლისის დაზვერვის სასარგებლოდ ჯაშუშობაში დაადანაშაულა. რეჟისორს ლავრენტი ბერიას და იოსებ სტალინის ფიზიკური განადგურების მცდელობაც ბრალდებოდა. საბჭოთა რეჟიმმა სანდრო ახმეტელთან ერთად მისი მეუღლე თამარ წულუკიძეც დააპატიმრა.1937 წელს სანდრო ახმეტელს დახვრეტა, ხოლო თამარ წულუკიძეს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მათი რეაბილიტაცია 1956 წლის 11 თებერვალს მოხდა. კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს აღნიშნული ინიციატივა.

კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მერვე საკითხი. ჩუღურეთის რაიონში, მაქსიმ გორკის შესახვევს და ვეძათხევის შესახვევის მონაკვეთს მიენიჭება მსახიობის დუდუხანა წეროძის სახელი. იგი იყო კინომსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი. კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მერვე საკითხი შეეხება ნაძალადევის რაიონში, ლეჩხუმის ქუჩის მონაკვეთისთვის, ეროვნული მოძრაობის მონაწილის, უფლებადამცველ მარიკა ბაღდავაძის სახელის მინიჭებას. იგი იყო სამოქალაქო

უფლებების დამცველი, საბჭოთა კომუნისტური სისტემისგან ერისა და ადამიანის უფლებათა დაცვისთვის მრავალგზის დევნილი, გამორჩეული ქართველი დისიდენტი. მარიკა ბაღდავაძე გამოირჩეოდა უდიდესი პრინციპულობით და შეუვალობით, მან უარი თქვა თანამდებობაზე და პოლიტიკურ კარიერაზე დამოუკიდებელ საქართველოშიც და დარჩა როგორც ადამიანის უფლებების დამცველი. შეუფასებელია მისი როლი ომბუდსმენის ინსტიტუტის დაფუძნებასა და განვითარებაში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელი, ცნობილი დისიდენტი, "სახალხო პარტიის" მთავარი კომიტეტის წევრი, 80-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული სახე და ლიდერი იყო.

გარდაიცვალა 2020 წელს, დაკრძალულია მახათას მთის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ ინიციატივას.

მეათე საკითხით დამისამართდება ნაძალადევის რაიონში, მარიამ ივანიშვილი-დემურიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა და მიენიჭება დრამატურგის, მწერლისა და პუბლიცისტის ნატალია აზიანის სახელი. მისი პიესებიდან გამორჩეულია – „ფული და ხარისხი“, „ცოდვა“. ასევე აღსანიშნავია „დეზერტირკა“, რომელიც 1925 წელს კოტე მარჯანიშვილმა დადგა რუსთაველის სახელმწიფო თეატრში.

ნატალია აზიანი, გარდა პიესებისა აქტიურად წერდა მოთხრობებსა და სატირულ ფელეტონებს მიმდინარე პოლიტიკურ და ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე. ნატალია აზიანს, გამოუქვეყნებელი დარჩა ხელნაწერი მოგონებანი თეატრსა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეებზე. თავის ნაშრომებს ნატალია ფსევდონიმით „აზიანი“ აქვეყნებდა. ნატალია დონდაროვას, ხშირად სწორედ ნატალია აზიანად მოიხსენიებდნენ.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ ინიციატივას დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

ნინო ვარდოსანიძის განცხადებით, წარმოდგენილი საკითხები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინიციატივებად დარეგისტრირდება საკრებულოს წინაშე, რეგისტრაციიდან არაუადრეს 20 დღისა გაიმართება საჯარო განხილვა და ამის შემდგომ მოხდება საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე